# შპს „ ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი„

## ფინანსური ანგარიშგება

## 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

# შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ---------- 3

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ---------- 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ---------- 5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია ---------- 6

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები ---------- 9

შპს „ ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი„
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

| | ახსნა-განმარტება | 2018 | 2017 |
|---|---|---|---|
| აქტივები | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 1 | 10,059,191 | 10,364,306.00 |
| არამატერიალური აქტივები | 2 | 23,139.00 | 27,297.00 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | | 7,315,213 | 7,101,613 |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | | **17,397,543** | **17,493,216** |
| მოკლევადიანი აქტივები | | | |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 3 | 22,246 | 86,735 |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 4 | 5,381,434 | 3,499,130 |
| მარაგები | 5 | 35,020 | 36,539 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | | - | - |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | | **5,438,700** | **3,622,404** |
| სულ აქტივები | | **22,836,243** | **21,115,620** |
| მთლიანი კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 19,410,434 | 19,410,434 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | | (4,247,922) | (5,929,026) |
| გადაფასების რეზერვი | | 7,492,699 | 7,492,699 |
| სულ კაპიტალი | | **22,655,211** | **20,974,107** |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | |
| მოკლევადიანი სესხები | | 4,416 | 4,416 |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 6 | 163,368 | 111,403 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 13,248 | 25,694 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | | **181,032** | **141,513** |
| სულ ვალდებულებები | | **181,032** | **141,513** |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | | **22,836,243** | **21,115,620** |

დირექტორის მინდობილი პირი:

GEORGIANmedia production group 204563123

მთავარი ბუღალტერი :

შპს „ ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი„
მოგება ზარალის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

| | ახსნა-განმარტება | 2018 | 2017 |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 7 | 1,871,205 | 1,905,137 |
| თვითღირებულება | | | |
| **საერთო მოგება** | | **1,871,205** | **1,905,137** |
| სხვა შემოსავლები | 9 | 606,107 | 232,255 |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი | 8 | (623,347) | (515,241) |
| მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები | | (22,220) | (27,860) |
| სხვა ხარჯები | 10 | (151,113) | (251,209) |
| **საოპერაციო მოგება** | | **1,680,632** | **1,343,082** |
| ფინანსური შემოსავალი | | - | - |
| ფინანსური ხარჯი | | - | - |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება | | 473 | (2,201) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **1,681,104** | **1,340,882** |
| მოგების გადასახადი | | | |
| **წმინდა მოგება** | | **1,681,104** | **1,340,882** |
| სხვა სრული შემოსავალი: | | | |
| გადაფასების რეზერვი | | | |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | | **1,681,104** | **1,340,882** |

დირექტორის მინდობილი პირი:

მთავარი ბუღალტერი :

შპს „ ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი„
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

| | საწესდებო კაპიტალი | გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| **2016 წლის 31 დეკემბერი** | **19,410,434** | **7,492,699** | **(7,269,908)** | **19,633,225** |
| წლიური მოგება | - | - | 1,340,882 | **1,340,882** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | - | - | | - |
| **2017 წლის 31 დეკემბერი** | **19,410,434** | **7,492,699** | **(5,929,026)** | **20,974,106** |
| წლიური მოგება | - | - | 1,681,104 | **1,681,104** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | | - | | |
| **2018 წლის 31 დეკემბერი** | **19,410,434** | **7,492,699** | **(4,247,922)** | **22,655,211** |

დირექტორის მინდობილი პირი:

შპს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი
GEORGIANmedia production group
204563123

მთავარი ბუღალტერი :

## ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი" (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 17 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 20456123. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკომუნიკაციო მომსახურება. იგი წარმოადგენს ფიქსირებული სატელეფონო კავშირით მომსახურებისათვის ნუმერაციის რესურსის მფლობელ ავტორიზებულ პირს, რომლის მფლობელობაშიც არის 1004 სატელეფონო ნომერი.

კომპანია ასევე ეწევა საიჯარო მომსახურებას მის მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N3 2017 წლის;

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ლუბლიანას ქ. N5 /ახმეტელის ქ. N10/

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ინა გუდავაძე /510723300, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო/. კომპანიის დირექტორია ლიანა ჟმოტოვა /518452865 51N577805, რუსეთი,დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო/.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 19,410,434 ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 5 ადამიანი.

## ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური უწყისები მომზადებულია მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად. ორგანიზაციის საანგარიშგებო წელია კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და არ არსებობს რაიმე მიზეზი რის გამოც შესაძლოა ვივარაუდოთ კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა.

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ძირითად საანგარიშსწორებო ვალუტას.

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ხდება პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის მეშვეობით.

## ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტა

ფულადი სახსრები მოიცავს კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშებზე რიცხულ თანხებს. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფინანსურ ანგარიშგებაში უცხოური ვალუტა, სავალუტო მოთხოვნები და ვალდებულებები მოცემულია საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით:

| პერიოდი | დოლარი | ევრო |
|---|---|---|
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6766 | 3,0701 |
| კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,5922 | 3,1044 |

## სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

## მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს.
მარაგების თვითღრებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

## ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.
მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.
ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.
მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება კლებადი ნაშთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის რაოდენობის შესაბამისად.
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|---|---|
| შენობები | 30 - 40 წელი |
| მანქანა დანადგარები | 20 - 40 წელი |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 5 - 20 წელი |
| კომპიუტერული ტექნიკა | 10 - 15 წელი |
| ავტომობილები | 20 წელი |

## არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ ლიცენზიები (7 - 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). და სხვა არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

## შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის შემოსავალი ძირითადად ყალიბდება გაწეული მომსახურების საფუძველზე.
ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია დაჯგუფებულად მათი დანიშნულების მიხედვით.
კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

## სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვადება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.
გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

# ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

## 1. ძირითადი საშუალებები

| | შენობა - ნაგებობები | მანქანა-დანადგარები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სატრანსპორტო საშუალებები | კომპიუტერული ტექნიკა | მიწა | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლარში | | | | | | | |
| **2017 წლის ბოლოს მდგომარეობით** | 8,793,243 | 9,921,960 | 16,628 | 63,203 | 248,486 | 1,067,491 | 20,111,011 |
| შესყიდვა | | | | | 142 | | 142 |
| გასვლა | 13,669 | 1,926,316 | 782 | 2630 | 1264 | | 1,944,661 |
| გაუფასურება | | | | | | | - |
| შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია | | | | | | | - |
| გადაფასების რეზერვი | | | | | | | - |
| **2018 წლის ბოლოს მდგომარეოით** | 8,779,574 | 7,995,644 | 15,846 | 60,573 | 247,364 | 1,067,491 | 18,166,492 |
| *დაგროვილი ცვეთა* | | | | | | | |
| **2017 წლის ბოლოს მდგომარეობით** | 298,252 | 9,155,975 | 15,253 | 55,708 | 221,517 | - | 9,746,705 |
| ცვეთის ხარჯი | 42,545 | 110,637 | 254 | 1,490 | 4,462 | - | 159,388 |
| გასული აქტ. დაგრ. ცვეთა | 7,740 | 1,786,831 | 741 | 2,339 | 1,141 | | 1,798,792 |
| **2018 წლის ბოლოს მდგომარეობით** | 333,057 | 7,479,781 | 14,766 | 54,859 | 224,838 | - | 8,107,301 |
| *საბალანსო ღირებულება* | | | | | | | |
| **2017 წლის ბოლოს** | 8,494,991 | 765,985 | 1,375 | 7,495 | 26,969 | 1,067,491 | 10,364,306 |
| **2018 წლის ბოლოს** | 8,446,517 | 515,863 | 1,080 | 5,714 | 22,526 | 1,067,491 | 10,364,306 |

## 2. არამატერიალური აქტივები

| *ლარი* | პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| **2017 წლის ბოლოს** | - | 36,285 | 52,811 | 89,096 |
| შემოსავლა | - | | | |
| გასვლა | | | | - |
| **2018 წლის ბოლოს** | - | 36,285 | 52,811 | 89,096 |

| | პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| დაგროვილი ამორტიზაცია | | 26,100 | 35,699 | 61,799 |
| **2017 წლის ბოლოს** | - | | | |
| პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი | - | 1,591 | 2,567 | 4,158 |
| გასულის დაგროვილი ამორტიზაცია | | | | - |
| **2018 წლის ბოლოს** | - | 27,691 | 38,266 | 65,958 |

| | პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| საბალანსო ღირებულება | | | | |
| **2017 წლის ბოლოს** | - | 10,185 | 17,112 | 27,297 |
| **2018 წლის ბოლოს** | - | 8,594 | 14,545 | 23,139 |

## 3. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმებტები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 3,868 | 3,952 |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში | 18,378 | 82,783 |
| | **22,246** | **86,735** |

## 4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 5,345,659 | 3,463,363 |
| მოთხოვნები საკომუნიკაციო მომსახურებიდან და სხვა | 35,775 | 35,767 |
| | 5,381,434 | 3,499,130 |

## 5. მარაგები

მარაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|---|---|---|
| ნედლეული და მასალები | 34,585 | 36,104 |
| დამხმარე მასალები და სხვა მარაგები | 435 | 435 |
| | 35,020 | 36,539 |

## 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|---|---|---|
| ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურების მიღებიდან | 163,368 | 111,403 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 13,248 | 25,694 |
| | 176,616 | 137,097 |

7. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|---|---|---|
| საკომუნიკაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი | 18,880 | 28,546 |
| იჯარებიდან მიღებული შემოსავალი | 1,805,873 | 1,832,589 |
| სხვა შემოსავალი | 46,452 | 44,002 |
| | 1,871,205 | 1,905137 |

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 244,062 | 162,750 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 163,547 | 209,758 |
| იჯარის ხარჯი | 2,659 | 4,534 |
| საკონსულტაციო ხარჯი | 78,951 | 700 |
| კომუნიკაციის ხარჯები | 1,615 | 2,692 |
| საგადასახადო ხარჯი | 107,706 | 110,568 |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | 24,807 | 24,238 |
| | 623,347 | 515,240 |

## 9. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი | 31/12/2018 | 31/12/2017 |
| --- | --- | --- |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი | 602,352 | 232,255 |
| სხვა შემოსავალი | 3.755 | 0 |
| | 606,107 | 232,255 |

## 10. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი | 31/12/2018 | 31/12/2017 |
| --- | --- | --- |
| რეალიზებული ძირითადი საშუალებები | 144,639 | 65,417 |
| მოგების გადასახადი კანონმდებლობის შესაბამისად | 814 | 69 |
| სხვა ხარჯი | 5,660 | 185,723 |
| | 151,113 | 251,209 |

## საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში არ ქონია ადგილი რაიმე ისეთ მოვლენას, რომელიც არსებით გავლენასახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე და მოითხოვს მის კორექტირებას.

DE PINNA
NOTARIES

I, **James Siôn TAYLOR**, Notary Public of the City of London, England, by Royal Authority duly admitted and sworn, practising in the said City,

**DO HEREBY CERTIFY AND ATTEST:**

**THAT** the hereunto annexed Power of Attorney has been signed by **Liana ZHMOTOVA**, a British citizen, born on 6th May 1980, holder of British Passport number **518452865**, issued on 20th June 2014, whose identity I, the Notary, attest.

**IN TESTIMONY WHEREOF I** have hereunto set my hand and affixed my Seal of Office in the City of London aforesaid, this eleventh day of February in the year Two thousand and nineteen.

**James Siôn TAYLOR**
**Notary Public of London, England**

SCRIVENER NOTARIES

DE PINNA LLP
35 Piccadilly London W1J 0LJ
Registered Number OC421725
Telephone: +44 (0)20 7208 2900 Facsimile: +44 (0)20 7208 0066

bsi. ISO/IEC 27001 Information Security Management

## APOSTILLE

(Convention de La Haye du 5 octobre 1961)

| | | |
|---|---|---|
| 1. | **Country:** Pays / Pais: | United Kingdom of Great Britain and Northern Ireland |
| | **This public document** Le présent acte public / El presente documento público | |
| 2. | **Has been signed by** a été signé par ha sido firmado por | James Siôn Taylor |
| 3. | **Acting in the capacity of** agissant en qualité de quien actúa en calidad de | Notary Public |
| 4. | **Bears the seal / stamp of** est revêtu du sceau / timbre de y está revestido del sello / timbre de | The Said Notary Public |

**Certified**

Attesté / Certificado

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5. | **at** á / en | London | 6. | **the** le / el día | 11 February 2019 |
| 7. | **by** par / por | Her Majesty's Principal Secretary of State for Foreign and Commonwealth Affairs | | | |
| 8. | **Number** sous no / bajo el numero | APO-1303977 | | | |
| 9. | **Seal / stamp** Sceau / timbre Sello / timbre | Foreign and Commonwealth Office London | 10. | **Signature** Signature Firma | P. Forbes |

This Apostille is not to be used in the UK and only confirms the authenticity of the signature, seal or stamp on the attached UK public document. It does not confirm the authenticity of the underlying document. Apostilles attached to documents that have been photocopied and certified in the UK confirm the signature of the UK official who conducted the certification only. It does not authenticate either the signature on the original document or the contents of the original document in any way.

If this document is to be used in a country not party to the Hague Convention of the 5th of October 1961, it should be presented to the consular section of the mission representing that country

**To verify this apostille go to www.verifyapostille.service.gov.uk**

**Power of Attorney**

7 February 2019

Under this Power of Attorney, I, Liana Zhmotova (518452865, 51№5778005, United Kingdom of Great Britain and Northern Ireland), as the **Director of LLC Georgian Media Production Group** (Identification Number: 204563123, hereinafter – the **Company**) mandate **Koba Kvantaliani** (born 09.11.1976, personal # 01015005319) to defend the rights of the Company and **acts as the representative of the Company** before all individuals and legal entities, public and private organizations and agencies, administrative and self-government authorities, including **Justice Hall** and agencies within its jurisdiction, **National Agency of Public Registry**, the Register of Entrepreneurs, notary office, **the court of any instance** within the Georgian system of common courts, the Ministry of Internal Affairs and its agencies (including Service Agency, etc.), the Ministry of Finance and its agencies (including Revenue Service, etc.), all government agencies, including but not limited to all structural units; act as the representative of the Company before any and all **banks** and/or their branches, microfinance institutions operating within the territory of Georgia, etc.

**To perform the above mandate, the Attorney may:**

- File any application (claim, defence, etc.), get acquainted with any trial record, state opinions on behalf and in the interests of the Company, make extracts, request archive documents and make their copies, raise a challenge, tender petitions and motions, amend the meaning and amount of any application (claim), pay state duty, fee or any other tax.
- Obtain all kinds of documents regardless of their legal form and perform all other actions permitted under the applicable laws of Georgia.
- **Perform any action provided for by law to defend the interests of the Company in the course of any administrative or legal proceeding, including proceedings in courts;**
- Conduct negotiations on behalf of the Company, make decisions at his sole discretion, define all the terms and conditions, time frames, amounts, etc. of any contract, exercise the right to sign, make payments, sign contracts (of any type/form/content) and, if necessary, changes and/or amendments to such contracts, an agreement to terminate any contract, cause their registration with the relevant registration authorities, obtain the registered documents in a hard copy, pay all the necessary taxes and fees, sign all the necessary documents and perform any and all actions that, although not expressly stated herein, may be required to fully and duly perform the mandate.

Manage and dispose of any bank account of the Company (inter alia, deposit and draw money, make transfers and exchanges), open any new bank account(s) and dispose of them without limitation. Close any bank account of the Company with any bank at his sole discretion. Use **any available bank product and service** (including any remote service) on behalf of the Company. Sign any contract or document to be made with the bank (including any contract, agreement, application or deed of acceptance, changes and/or amendments to any contract, agreements on/applications for termination of any contract) on behalf of the Company and define their content on his own. Obtain and receive any information or document from the bank; to exercise the rights granted under this Power of Attorney, the Attorney may perform any action and procedure and sign any document on behalf of the Company. On behalf of the Company, open and/or close any payment accounts with any bank in the territory of Georgia, fill out all the necessary documents (applications), bank service contracts, sign all the bank papers, obtain any bank paper, including but not limited to, special Internet bank PINs or passwords, statements of account, certificates, and without any limitation make transfers from the account of the Company, draw cash, transfer money to any account by any form of wire transfer, exercise full rights and authorizations in the Internet bank and mobile bank system, obtain a plastic card and its passwords and PINs from the bank, obtain a card trapped in an ATM, open and obtain a corporate business card, perform any bank operation or transaction permitted in commercial banks without limitation; (use) activate any bank product permitted under the laws of Georgia – Internet banking, SMS banking, overdrafts, continuing facilities, bank guarantees, etc.; obtain a DIGIpass intended for the Company; obtain and dispose of the plastic (both debit and credit) cards prepared for the Company, order new plastic (both debit and credit) cards, accept them (with or without a PIN) and dispose of them; perform any action that may be related to the acceptance and disposal of the card prepared for the Company; sign any application for using bank products, for receiving, activating such bank products and changing (increasing and/or decreasing) their limits, and any other document; act on behalf of the Company when dealing with commercial banks in connection with any loan(s) and other credit product(s) (continuing facilities, bank guarantees, overdrafts, etc.); obtain any loan(s) and/or use any credit product(s) of any amount on behalf of the Company, define their conditions and sign any contract, including a general agreement on the use of credit product services, any constituent credit contract, any constituent continuing facility (including revolving credit facility), overdraft, bank guarantee, L/C, mortgage, pledge and other contracts; define all the terms and conditions of such contracts at his sole discretion, including: amount, due date, interest rate, amount of fee and default surcharge, agreement to refer disputes to a private arbitration, an agreement on using a private bailiff for enforcement, etc.; make changes and amendments at his sole

discretion to any contract made on behalf of the Company, including the general agreement on the use of credit product services, any constituent credit contract, any constituent continuing facility (including revolving credit facility), overdraft, bank guarantee, L/C, mortgage, pledge and other contracts; sign payment schedules; terminate at his sole discretion any of the above contracts made on behalf of the Company; prepay, in full or in part, any of the loans/credits obtained on behalf of the Company and in that connection sign any document or application.

- Hire and fire the Company employees, sign labour contracts with them, apply disciplinary actions or material or moral incentives to them.
- On behalf and in the interests of the Company, pay taxes, accept a password to a payer's webpage, perform any and all actions permitted by law in the tax authority (Revenue Service). Perform all kinds of tax operations related to the business of the Company, **make payments to the Budget, and file tax returns**. To perform the mandate, the Attorney may sign all the necessary papers, applications, documents, pay state duties and fees, and perform all other actions permitted in the tax authority (Revenue Service).

No one whosoever may cast doubt to the Attorney's powers just because they are not exhaustively set forth herein. The Attorney may perform any other act that is not expressly indicated herein but is necessary for safeguarding the Principal's rights and legitimate interests.

**This Power of Attorney is granted for a fixed term and valid for 1 (one) year.**

**Liana Zhmotova**

მე, **ჯეიმს საიონ ტეილორი**, ინგლისის, ქ.ლონდონის სანოტარო ოლქის ნოტარისი, წინმადებარით ვადასტურებ,

რომ თანდართული მინდობილობა, ხელმოწერილია **ლიანა ქმოტოვას** (ბრიტანეთის მოქ., დაბ. 06.05.1980წ., ბრიტანეთის მოქ. პასპორტი 518452865, გაც. 20.06.2014წ.) მიერ, რომელიც ცნობილია წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

დამოწმებულია ჩემი ხელმოწერით და აღნიშნული ნოტარიუსის ბეჭდით, ქ.ლონდონში, 2019 წლის 11 თებერვალს.

**ჯეიმს საიონ ტეილორი**
ქ.ლონდონის ნოტარიუსი
/ხელმოწერილია, ბეჭედდასმულია/

# ა პ ო ს ტ ი ლ ი

(ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენცია)

1. ქვეყანა - ჩრდილოეთ ირლანდიის და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო

წინამდებარე საჯარო დოკუმენტი

2. ხელმოწერილია **ჯეიმს საიონ ტეილორი**

3. რომელიც მოქმედებს შემდეგი

უფლებამოსილების ფარგლებში: ნოტარიუსი

4. ერთვის აღნიშნული ნოტარიუსის ბეჭედი

## დამოწმებულია

5. ლონდონში 6. 2019 წლის 11 თებერვალი

7. საგარეო და საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტროს მთავარი მდივანი /ბეჭედი/

8. ნომერი APO- 1303977

9. ბეჭედი /ბეჭედდასმულია/

10. ხელმოწერა /ხელმოწერილია/

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

07 თებერვალი 2019წ.

მე, **ლიანა ჟმოტოვა** (518452865, 51#5778005, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პასპორტი), როგორც შპს **„ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპ"-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204563123, შემდგომში "კომპანია") დირექტორი**, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **კობა კვანტალიანს** (დაბადებული 09.11.1976 წელს, პირადი #01015005319), რათა მან დაიცვას კომპანიის უფლებები და **იყოს მისი წარმომადგენელი** ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებასთან, ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგანოებთან, **მათ შორის** იუსტიციის სახლში და მის სივრცეში განთავსებულ ნებისმიერ სააგენტოში, **საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში**, სამეწარმეო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ **ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში**, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მის სააგენტოებთან (მათ შორის მომსახურების სააგენტო და სხვა), ფინანსთა სამინისტროსა და მის სააგენტოებთან (მათ შორის შემოსავლების სამსახურში და სხვა), ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის შეუზღუდავად ყველა სტრუქტურულ ერთეულთან ურთიერთობაში. იყოს კომპანიის წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ **ნებისმიერ ბანკთან** და/ან მათ ფილიალებთან, მიკრო საფინანსო ორგნიზაციებთან ურთიერთობაში და სხვა.

**ზემოხსენებული დავალების შესრულების მიზნით მინდობილი პირი უფლებამოსილია:**

- შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება (საჩივარი, შესაგებელი და სხვა), გაეცნოს ნებისმიერი წარმოების მასალებს, კომპანიის სახელით და მის ინტერესებში გამოთქვას აზრი, გააკეთოს ამონაწერები, გამოითხოვოს არქივში დაცული დოკუმენტები და გადაიღოს მათი ასლები, განაცხადოს აცილება, შეიტანოს შუამდგომლობა, დააზუსტოს განცხადების (მოთხოვნის) შინაარსი, მოცულობა, გადაიხადოს სახ. ბაჟი, მოსაკრებელი თუ სხვა გადასახადი.
- მიიღოს ხელზე ყველა სახის საბუთი მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულია შესასრულებლად.
- **ნებისმიერი სახის ადმინისტრაციული და სასამართლო საქმის წარმობის პროცესში შეასრულოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მოქმედება კომპანიის ინტერების დასაცავად.**
- კომპანიის სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები, საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილებები, **განსაზღვროს ხელშკრულების ყველა პირობა**, ვადები, თანხები და ა.შ., ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით, აწარმოოს ანგარიშსწორება **ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს** (ნებისმიერი ტიპის/ფორმის/შინაარსის), საჭიროების შემთხვევაში ცვლილებას და/ან დამატებას ხელშეკრულებებში, შეთანხმებას ხელშეკრულებების გაუქმების შესახებ, დაარეგისტრისროს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში, ხელზე მიიღოს დარეგისტრირებული დოკუმენტები, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და

შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულია აღნიშნული დავალების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად.

- მართოს და განკარგოს კომპანიის კუთვნილი ნებისმიერი **საბანკო ანგარიში** (მათ შორის განახორციელოს თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, კონვერტაცია), გახსნას ახალი საბანკო ანგარიშ(ებ)ი და შეუზღუდავად განკარგოს ისინი. საკუთარი შეხედულებისამებრ დახუროს კომპანიის კუთვნილი ნებისმიერი საბანკო ანგარიში ნებისმიერ ბანკში. კომპანიის სახელით **ისარგებლოს ბანკში მოქმედი ნებისმიერი საბანკო პროდუქტითა** თუ მომსახურებით (მათ შორის ნებისმიერი სახის დისტანციური მომსახურებით). კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს ბანკთან გასაფორმებელ ნებისმიერ გარიგებას ან დოკუმენტს (მათ შორის ნებისმერ ხელშეკრულებას, შეთანხმებას, განაცახადს თუ მიღება-ჩაბარების აქტს, ცვლილებას და/ან დამატებას ხელშეკრულებში, შეთანხმებას/განცხადებას ხელშეკრულების გაუქმების შესახებ) და თავად განსაზღვროს მათი შინაარსი. ბანკიდან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი; წინამდებარე მინდობილობით მიღებული უფლებების განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია კომპანიის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს. გახსნას კომპანიის სახელით ნებისმიერი სახის საანგარიშსწორებო ანგარიშები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ბანკში ან/და დახუროს ისინი, შეავსოს ყველა საჭირო საბუთი (განაცხადი), საბანკო მომსხურების ხელშეკრულება, ხელი მოაწეროს ყველა საბანკო საბუთს, ხელზე მიიღოს ნებისმიერი საბანკო დოკუმენტი, მათ შორის და არა მხოლოდ ინტერნეტ ბანკის სპეციალური კოდები თუ პაროლები, ამონაწერი ანგარიშიდან, ცნობა, ასევე განახორციელოს შეუზღუდავად კომპანიის ანგარიშიდან საბანკო გადარიცხვა, გამოიტანოს ნაღდი ფული, გადარიცხოს თანხა ნებისმიერ ანგარიშზე უნაღდო ანგარიშწორების ნებისმიერი ფორმით, ისარგებლოს ინტერნეტბანკის და მობაილბანკის სისტემაში სრული უფლებებით და ავტორიზაციით, მიიღოს ხელზე საბანკო პლასტიკური ბარათი და მისი პაროლები, კოდები, მიიღოს ბანკომატში დაკავებული ბარათი, გახსნას და აიღოს ორგანიზაციის ბიზნეს ბარათი, შეასრულოს შეუზღუდავად ნებისმიერი საბანკო მოქმედება თუ ტრანზაქცია რომელიც ნებადართულია კომერციულ ბანკებში; ისარგებლოს (გაააქტიუროს) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი საბანკო პროდუქტით – ინტერნეტ ბანკინგით, SMS ბანკით, ოვერდრაფტით, აკრედიტივით, საბანკო გარანტიითა და სხვა; მიღოს საზოგადოებისთვის განკუთვნილი დიჯიპასი; მიიღოს და განკარგოს საზოგადოებისთვის დამზადებული პლასტიკური ბარათი (როგორც სადებეტო, ასევე - საკრედიტო), შეუკვეთოს ახალი პლასტიკური ბარათი (როგორც საკრედიტო, ასევე - სადებეტო), მიიღოს იგი (პინ-კოდთან ერთად ან უამისოდ) და განკარგოს; შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება საზოგადოებისთვის დამზადებული ბარათის მიღებასთან და განკარგვასთან; ხელი მოაწეროს საბანკო პროდუქტებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ განაცხადს/განცხადებას, როგორც მათი მიღების, ჩართვის/გააქტიურების, ასევე ლიმიტის ცვლილების (გაზრდა და/ან შემცირება) შესახებ, აგრეთვე - ნებისმიერ სხვა დოკუმენტს; იმოქმედოს საზოგადოების სახელით ნებისმიერ კომერციულ ბანკში სესხ(ებ)ისა და/ან სხვა სახის საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის (აკრედიტივი, საბანკო გარანტია, ოვერდრაფტი და სხვა) მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში; საზოგადოების სახელით აიღოს

სესხ(ებ)ი და/ან ისარგებლოს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ით ნებისმიერი თანხის ოდენობით, განსაზღვროს შესაბამისი პირობები და შესაბამისად, დადოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, მათ შორის - გენერალური ხელშეკრულება საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ, შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, შემადგენელი საკრედიტო ხაზის (მათ შორის რევოლვერული) ოვერდრაფტის, საბანკო გარანტიის, აკრედიტივის, იპოთეკის, გირავნობისა და სხვა სახის ხელშეკრულებები; საკუთარი შეხედულებით, დამოუკიდებლად, განსაზღვროს ხელშეკრულებების ყველა პირობა, მათ შორის: თანხა, ვადა, საპროცენტო განაკვეთი, საკომისიოსა და პირგასამტეხლოს ოდენობა, დავის კერძო არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ შეთანხმება, ხოლო აღსრულების კერძო აღმასრულებლის მეშვეობით განხორციელების შესახებ შეთანხმება და სხვა; საკუთარი შეხედულებისამებრ, შეიტანოს ცვლილებები საზოგადოების სახელით დადებულ ნებისმიერ გარიგებაში, მათ შორის - გენერალურ ხელშეკრულებში საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ, შემადგენელ საკრედიტო, შემადგენელ საკრედიტო ხაზის (მათ შორის რევოლვერული), ოვერდრაფტის, საბანკო გარანტიის, აკრედიტივის, იპოთეკის, გირავნობისა და სხვა სახის ხელშეკრულებებში; ხელი მოაწეროს შეცვლილ გადახდის გრაფიკებს; საკუთარი შეხედულებისამებრ შეწყვიტოს საზოგადოების სახელით დადებული ზემოხსენებული ხელშეკრულებები; წინსწრებით მოახდინოს საზოგადოების მიერ აღებული სესხების/კრედიტების სრული ან ნაწილობრივი დაფარვა, ამასთან დაკავშირებით ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, განაცხადს, განცხადებას.

- მიიღოს და გაათავისუფლოს კომპანიის თანამშრომლები, გააფორმოს მათთან შრომითი ხელშეკრულებები, გამოიყენოს მათ მიმართ დისციპლინარული ზემოქმედების ან მატერიალური თუ მორალური წახალისების ღონისძიებები.
- კომპანიის სახელით და მის ინტერესებში გადაიხადოს გადასახადები, მიიღოს ხელზე გადამხდელის ელექტრონული გვერდის პაროლი, განახორციელოს ყველა მოქმედება რაც კანონით ნებადართულია საგადასახადო ინსპექციაში (შემოსავლების სამსახურში). შეასრულოს საწარმოს საქმიანოსაბთან დაკავშირებული ყველა სახის საგადასახადო ოპერაცია, **მოახდინოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, ჩააბაროს დეკლარაცია;** მინდობილი პირი დავალების შესასრულებლად უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ყველა აუცილებელ საბუთს, განცხადებას, დოკუმენტს, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი თუ მოსაკრებელი, შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რომელიც ნებადართულია საგადასახადო ინსპექციაში (შემოსავლების სამსახურში).

არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილი პირის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილი პირის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობი პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

**მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით- ერთი (1) წლით.**

**ლიანა ჟმოტოვა /ხელმოწერილია/**

*საქართველო*

მე, ნოტარიუსს დიანა სვანაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, აღმაშენებლის # 109, მომმართა დენიზა ვართანოვამ. მან წარმოადგინა დოკუმენტი და მოითხოვა თარგმანზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ქალბატონმა დენიზა ვართანოვამა (დაბადებული 22.03.1982 წელს თბილისში, მისამართი: ქ. თბილისი, ჩეხოვის ქ. 34/3, პირადი# 01011025571) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: **დიპლომი STU#0014607**, გაც. **19.03.2004** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე, ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ თარჯიმნის ხელმოწერის სინამდვილეს თარგმნილ დოკუმენტზე. თარჯიმანმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და თარგმანზე ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით, რასაც ვამოწმებ. 1 ეგზ. და 5 გვ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 10.00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, პლიუს 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: 13.80 ლარი.

*Georgia*

I, Notary Public Diana Svanadze, in my notary bureau located at: # 109 Davit Agmashenebeli avenue., Tbilisi, was visited by **Deniza Vartanovi**, She presented the Document and declared that she requested verification of the authenticity of his signature on the translation. I am convinced of her identity according to the identity document provided by her. I am convinced that the person visited was actually **Deniza Vartanovi** (born on 22.03.1982,res.: # 34 Chekhova str., Tbilisi, personal No 01011025571). The translator presented the (**English**) Language Certificate: Bachelor's Diploma **STU** #0014607, issued on 19.03.2004 by Georgian Technical University. Thereafter I examined her legal capacity and become convinced that I had no ground to doubt it. I examined authenticity of her free will and explained legal outcomes of the signature, following which translator. Notary confirms just authenticity of signature of translator on translated document. Translator confirmed that the translation is correct and signed translated document with her own hand in my presence. 1 Cop. And 5 pages.

*Notary's fee paid : 10.00 Gel, in accordance with Resolution # 507 of the Government of Georgia (29.12.2011, Tbilisi) for execution of notarial actions and Article 31 "On approval of the amount, order of payment and service's terms of the fee defined for Notary Chamber of Georgia, also VAT- 1.80 Gel, in accordance with Tax Code Article 169, two (2) Gel (inclusive VAT) in accordance with Article 39 of the Resolution # 507 of the Government of Georgia. 13.80 Gel paid in full.*

*ნოტარიუსი:* ______________ */ დიანა სვანაძე/*
*Notary:* */Diana Svanadze/*

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N190173781 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 18.02.2019 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | დიანა სვანაძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2 95 77 45 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 23403448273919 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18